# დღეს არტილერიის დღეა, ფიზკულტურული სალამი საბჭოთა საზღვრების მამაც გუშაგებს!

19 ნოემბერი
კვირა,
1961 წ.
№ 187 (1823)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов



ნახატი გ. იაშვილისა.

# ფინიშის მნიშვნელოვანი პარტია

ვრნიაჩკა-ბანია. (ტელეფონით). 18 ნოემბერი. დილას კურორტზე ბევრი სტუმარი ჩამოვიდა, რომლებსაც სურდათ საკუთარი თვალით ენახათ ტურნირის ფავორიტების — ნედელკოვიჩისა და გაფრინდაშვილის ბრძოლა. თვით დამსვენებლებს თამაშზე დასასწრები ბილეთები ადრე ჰქონდათ ნაყიდი. ამიტომ ისინი ოლიმპიური სიმშვიდით ულიმოდნენ ჩამოსულებს, რომლებიც დაძრწოდნენ ბილეთებისათვის. გაზეთებმა ისედაც აღგზნებულ გულშემატკივრებს „ცეცხლი" წაუკიდეს მომავალი ბრძოლის აღწერით.

გულთბილი მისალმების შემდეგ მეტოქეები მიუსხდნენ მაგიდას. გათამაშდა ესპანური პარტია. გაფრინდაშვილმა აირჩია ჩიგორინის სისტემა, რომელიც ყველაზე საიმედოთაა მიჩნეული თანამედროვე თეორიაში. მე-14 სვლამდე პარტია მიმდინარეობდა ტალ-პეტროსიანის ცნობილი პარტიის. მსგავსად. შემდეგ ნედელკოვიჩმა თამაშს დახურული ხასიათი მისცა, რათა გაფრინდაშვილს აქტიური ბრძოლის შესაძლებლობა არ ჰქონოდა. მაგრამ ნონამ მაინც მონახა აქტიური თამაშის გეგმა ლაზიერის ფრთაზე. მისი ინიციატივა საშიშ სახეს მიიღებდა, რომ ნედელკოვიჩს არ დაეწყო გაფრინდაშვილის მეფის შეწუხება. რამდენიმე ფიგურის გაცვლით გაფრინდაშვილმა მოიგერია იერიში. შემდეგ კიდევ გაიცვალა ლაზიერები, ეტლები და პარტია მსუბუქი ფიგურების დაბოლოებაში გადავიდა. პარტია არ დამთავრებულა, იგი გადაიდო ასეთ პოზიციაში:

ვ. ნედელკოვიჩი (თეთრები):
მფe3, მa3, მc1, პ-ბი: b3, d5, e4, f3, g3, h4 (9)

ნ. გაფრინდაშვილი (შავები):
მფg7, კa6, მc5, პ-ბი: a5, d6, e5, f5, g6, h5 (9)

ჩაწერილია ნ. გაფრინდაშვილის 45-ე სვლა.

— ჩემის აზრით, — გვითხრა შიშოვმა, — ნონას პოზიცია ოდნავ მაინც უკეთესია. ახლა ძნელია იმის თქმა, შეიძლება თუ არა მოგებამდე მისი მიყვანა. ამაღამ გავარჩევთ. მაგრამ თუ ვერაფერი ვერ ვნახეთ რეალური, მაშინ ალბათ, უთამაშებლად შევთანხმდებით ყაიმზე.

მეთოდურად იბრძოდა ბორისენკო რინდერის წინააღმდეგ. მან თანდათანობით მოიპოვა უპირატესობა ჯერ პოზიციური, შემდეგ მატერიალურიც. პარტია გადაიდო. ბორისენკოს ზედმეტი პაიკი აქვს.

კარგად ითამაშა შოდე დე სილანმა ვოლპერტთან. გრიუნფელდის დაცვაში ფრანგმა გამოიყენა ვოლპერტის მცირე შეცდომები და დიდი მატერიალური ნადავლი მოიპოვა.

— მომილოცავს გამარჯვება, — უთხრა ვოლპერტმა შოდე დე სილანს და დანებების ნიშნად გააჩერა საათი.

ზატულოვსკაიამ, როგორც მას სჩვევია, ფინიშს „გაბრაზებული" თამაშობს და პარტიას პარტიაზე იგებს. დღესაც ამერიკელ გრესერს სიცილიურ დაცვაში ბევრი „მძიმე წუთები" განაცდევინა. ორი პაიკის დაკარგვის შემდეგ, 38-ე სვლაზე, გრესერი დანებდა.

ყაიმით დამთავრდა პოლიქრონიადე-ზვორიკინას შეხვედრა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. ნიკოლაუ უგებს კარაკაშნეს, ლეინი — ჰუნდსურენს, ხოლო კონარკოვსკა-ჰეემსკერკის პარტიაში მოსალოდნელია ყაიმი.

XIV ტურის შემდეგ ლიდერთა პოზიციები არ შეცვლილა. ნ. გაფრინდაშვილს ისევ 10,5 ქულა აქვს, ვ. ბორისენკოს — 8,5 ქულა და ორივეს თითო გადადებული პარტია.

19 ნოემბერს გათამაშდება გადადებული პარტიები.





# ზ. სპასკი—2 ქულა

ბაქო. (ტელეფონით). 18 ნოემბერი. აზერბაიჯანის დედაქალაქს მოედო საჭადრაკო „ეპიდემია". ყველგან ლაპარაკობენ ჩემპიონატის შესახებ. გულშემატკივრებს ალყაშემორტყმული აქვთ სასტუმრო „იუჟნაიას" მისადგომები. აქ ხომ დაბინავდნენ მ. ტალი, ვ. სმისლოვი, პ. კერესი, ბ. სპასკი, მ. ტაიმანოვი. ერთი სიტყვით ჩემპიონატის მთელი ანსამბლი — გროსმაისტერები, ოსტატები, მსაჯები, ჟურნალისტები. მშვენიერ ბაქოს არ ახსოვს მსგავსი საჭადრაკო „სპექტაკლი", ამიტომ ინტერესიც დიდია.

დღეს საღამოს ძერჟინსკის სახელობის კლუბის ვრცელი დარბაზი ისე გაივსო, რომ, როგორც იტყვიან, ნემსიც არ ჩავარდებაო. ანდა რა გასაკვირია. II ტურში ერთმანეთს შეხვდნენ თვით ტალი და აზერბაიჯანელთა პირველი მოჭადრაკე ბაგიროვი. არც სხვა შეხვედრები იყო ნაკლებად საინტერესო.

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის პირველ სვლას ბაგიროვმა უპასუხა კარო-კანის დაცვით. ტალისათვის ეს არ იყო მოულოდნელი. ბოტვინიკმა მატჩ-რევანშში, მისი გამოყენებით დებიუტს ახალი მიმდევრები გაუჩინა. ეს პარტია გატკეპნილი გზით განვითარდა. მაგრამ მე-10 სვლაზე ბაგიროვმა გადაუხვია მას. ტალმა ისარგებლა ამით და შეავიწროვა ბაქოელის პოზიცია. შემდეგ ბაგიროვი შესანიშნავად თამაშობდა, მოხდენილად იგერიებდა მუქარებს, გაცვლებით იმსუბუქებდა დაცვას. ტურის ბოლოსათვის ბაგიროვმა საიმედო პოზიცია მიიღო. მას საყაიმო შანსები აქვს. ასეთ ვითარებაში პარტია გადაიდო.

დაუმთავრებელი დარჩა კიდევ ხუთი პარტია. გურგენიძე ძალზე ახლო იყო გამარჯვებასთან. სავონმა კარო-კანის დაცვაში გამოწვევი სისტემა გაითამაშა. ქართველმა ოსტატმა მეთოდური თამაშით გამოამჟღავნა ხარკოველის პოზიციაში სისუსტეები და მათზე დაყრდნობით წამოიწყო მძლავრი იერიში. მოულოდნელად გურგენიძე ჩაფიქრდა. მოექცა ცაიტნოტში და ნელ-ნელა ხელიდან გამოეცალა უპირატესობა. ახლა მას ძლივს ყაიმის შანსები გააჩნია. სმისლოვს მოსაგები მდგომარეობა აქვს ლეინთან. ხოლო ალბათ, დიდი შეუპოვრობა დასჭირდება, რომ ყაიმს მიაღწიოს პოლუგაევსკისთან. თანაბარ პოზიციებში შეწყვეტილი ტაიმანოვ-ვასიუკოვისა და ხასინ-კოცის შეხვედრები.

ბრწყინვალე პარტია შექმნა სპასკიმ გიპსლისთან. ლატვიის ჩემპიონი თვითონ გახდა იმ სისტემის „მსხვერპლი", რომლითაც მან გუშინ გურგენიძე დაამარცხა. გროსმაისტერმა თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და შტურმით „დაიჭირა" გიპსლისის მეფე. გვირგვინოსნის გაჭირვებას არც ხარისხის დათმობამ უშველა. მე-40 სვლაზე იგი დანებდა. კიდევ უფრო მოკლე აღმოჩნდა ვლადიმიროვ-ავერბახის პარტია, რომელიც გროსმაისტერმა მოიგო 21 სვლაში.

ყაიმით დამთავრდა ნეჟმეტდინოვ-კერესისა და შამკოვიჩ-შიანოვსკის პარტიები.

II ტურის შემდეგ წინ გაიჭრა ბ. სპასკი — 2 ქულა.

## მდგომარეობა XIV ტურის შემდეგ (19 ნოემბრისათვის)

| მონაწილენი | № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ს. ჰუნდსურენი (მონღოლეთი) | 1 | X | 0 | 0 | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | * | | | |
| ა. რინდერი (გფრ) | 2 | 1 | X | 0 | 0 | 1/2 | 1 | 1/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | * | | | | 0 |
| ვ. ნედელკოვიჩი (იუგოსლავია) | 3 | 1 | 1 | X | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | 1 | 1/2 | 0 | * | * | | | | 0 | 1 |
| ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი) | 4 | 1 | 1 | 1/2 | X | 1/2 | 1 | 1 | 0 | 0 | * | 1/2 | | | | 1/2 | 0 | 0 |
| გ. გრესერი (აშშ) | 5 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | X | 0 | 1 | 1 | * | 0 | | | | 1 | 1/2 | 0 | 0 |
| შ. შოდე დე სილანი (საფრ.) | 6 | 1/2 | 0 | 0 | 0 | 1 | X | 1/2 | * | 1 | | | | 1/2 | 0 | 1/2 | 1/2 | 0 |
| გ. კონარკოვსკა (პოლონეთი) | 7 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 0 | 0 | 1/2 | X | * | | | | 0 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 |
| ფ. ჰეემსკერკი (ჰოლანდია) | 8 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | * | * | X | | | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1/2 |
| ლ. ვოლპერტი (სსრ კავშირი) | 9 | 1 | 1 | 1/2 | 1 | * | 0 | | | X | 1 | 0 | 0 | 1/2 | 1 | 0 | 1/2 | 1 |
| ტ. ზატულოვსკაია " | 10 | 1 | 1 | 1 | * | 1 | | | | 0 | X | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 |
| კ. ზვორიკინა " | 11 | 1 | 1 | * | 1/2 | | | | 0 | 1 | 0 | X | 1/2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 |
| ნ. გაფრინდაშვილი " | 12 | 1 | 1 | * | | | | 1 | 1 | 1 | 1 | 1/2 | X | 1 | 1/2 | 1 | 1 | 1/2 |
| ვ. ბორისენკო " | 13 | 1 | * | | | | 1/2 | 1/2 | 1 | 1/2 | 1 | 0 | 0 | X | 1 | 1 | 1 | 1 |
| ლ. ლეინი (აშშ) | 14 | * | | | | 0 | 1 | 1/2 | 1 | 0 | 0 | 0 | 1/2 | 0 | X | 1 | * | ** |
| ა. ნიკოლაუ (რუმინეთი) | 15 | | | | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1/2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | X | * | * |
| მ. ლაზარევიჩი (იუგოსლავია) | 16 | | | 1 | 1 | 1 | 1/2 | 0 | 1 | 1/2 | 1 | 0 | 0 | 0 | * | * | X | |
| ე. კარაკაშნე (უნგრეთი) | 17 | | 1 | 0 | 1 | 1 | 1 | 1/2 | 1/2 | 0 | 1 | 1 | 1/2 | 0 | ** | * | | X |

# მიმდინარე სპორტული სეზონის ერთ-ერთი დიდი ღონისძიება ზამთრის სპარტაკიადაა, რომლის ნაწილი ბაკურიანში ჩატარდება

## პირველი გამარჯვებები

პრაღაში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდულ ფრენბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. საბჭოთა კავშირიდან ტურნირში მონაწილეობს სპორტული საზოგადოება „ბურევესტნიკის" საკავშირო ნაკრები გუნდი. თავისი პირველი ორი შეხვედრა საბჭოთა ფრენბურთელებმა გამარჯვებით დაამთავრეს. იტალიისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ ახალგაზრდულ გუნდებს მათ ერთნაირი ანგარიშით (3:0) მოუგეს.

ტურნირი გრძელდება.



სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო ტრამპლინიდან მხტომელს კ. წაქაძეს. იგი მიმდინარე წელს შესანიშნავ ფორმაშია და იმედი გვაქვს, რომ თავისი მაღალი შედეგებით გაახარებს სპორტის მოყვარულებს.

## ი. გაგარინს — ოქროს დიდი მედალი

საბჭოთა მფრინავებს ამჟამად ეკუთვნით ავიაციის საერთაშორისო ფედერაციის 162 რეკორდი. სულ ახლახან სასიხარულო ცნობა მოვიდა საერთაშორისო ფედერაციიდან. პირველი კოსმონავტი ი. გაგარინი ფედერაციამ დააჯილდოვა ოქროს დიდი მედლით, საპატიო ჯილდოებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე სახელმოხვეჭილი საბჭოთა მფრინავები.

ამ ამბავს მიეძღვნა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული საზეიმო სალამო, სადაც ავიაციის საერთაშორისო ფედერაციის სახელით საბჭოთა კავშირის ორგზის გმირმა ვ. კოკინაკიმ ოქროს დიდი მედალი გადასცა ი. გაგარინს. მედალზე ამოკვეთილია სახელოვანი საბჭოთა კოსმონავტის სახელი და გვარი, ხოლო საპატიო დიპლომში ჩაწერილია: ფრენის ხანგრძლიობა — 108 წუთი, სიმაღლე — 327 კმ, მაერში ატანილი წონა — 4.725 კილოგრამი.

მედლის მიღების შემდეგ ი. გაგარინმა განაცხადა: ეს ჯილდო არა მარტო ჩემია, არამედ იგი ეკუთვნის მთელს საბჭოთა ხალხს — ჩვენს მეცნიერებს, მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, რომელთა თავდადებულმა შრომამ შესაძლებელი გახადა ამ ფრენის განხორციელება.

ავიაციის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვ. კოკინაკიმ ფრანგი მფრინავის დე ლია ვოს სახელობის ოქროს მედლები გადასცა მფრინავ-გამომცდელებს კ. კოკინაკისა და ვ. ანდრიანოვს გასულ წელს დამყარებულ სიჩქარის რეკორდებისათვის.

## მოზარდთა თასი

დამთავრდა ქ. თბილისის თასის გათამაშება ფეხბურთში მოზარდთა გუნდებს შორის, რომლის მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ასაკობრივ კატეგორიად.

უმცროსი ასაკის გუნდებს შორის ფინალში გავიდნენ 81-ე და 47-ე სკოლების მოსწავლეები. მატჩი მოიგო 47-ე სკოლის გუნდმა ანგარიშით 1:0.

უფროს ასაკში 85-ე სკოლის ფეხბურთელებმა დაამარცხეს 55-ე სკოლის გუნდი — 2:1.

აღსანიშნავია, რომ სკოლების ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას აქცევს თავიანთ ფეხბურთელთა სპორტული ფორმით უზრუნველყოფის საქმეს. კერძოდ, ეს შეიძლება ითქვას 85-ე და 81-ე სკოლების გუნდებზე.

ა. გონელი

# „მჯერა მათი წარმატებისა"

მომავალი ზამთრის სპორტული სეზონი — ესაა უწინარეს ყოვლისა საციგურო და სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატების სეზონი. ამ წერილში ჩვენ ვილაპარაკებთ მხოლოდ მოთხილამურეებზე, მათ პერსპექტივებზე, თუ როგორ ემზადებიან მომავალი დიდი ასპარეზობისათვის საბჭოთა სპორტსმენები.

ახლა სათხილამურო სპორტის ყველა სახეობაში დღის წესრიგში დგას ძირითადი პრობლემა — გამარჯვება მსოფლიო ასპარეზზე. ამის პერსპექტივა კი პირველ ყოვლისა ტრამპლინიდან მხტომელებსა და ორჭიდელებს აქვთ. შარშან საბჭოთა მოთხილამურეებმა ცხადჰყვეს თავიანთი სიძლიერე ლახტსა (ფინეთი) და ჰოლმენკოლენში (ნორვეგია) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებებზე და მას შემდეგ ნაკრების ლიდერები ზაფხულის მცხუნვარე დღეებშიც კი ყველაფერს აკეთებდნენ ფორმის შესანარჩუნებლად.

ლახტში გამართული შეჯიბრების პირველი პრიზიორი, საბჭოთა ნაკრების ლიდერი კ. წაქაძე, ექსპანსიური, როგორც ყველა სამხრეთელი, ზაფხულში ბევრს ვარჯიშობდა ლენინგრადის ხელოვნურ საფარველიან ტრამპლინზე და გამარჯვებაც მოიპოვა მოხტუნავეთა საზაფხულო შეჯიბრებაში. როგორც ცნობილია, კობა წლების განმავლობაში ჰკარგავდა ძვირფას ქულებს ცუდი დაშვების გამო. ზაფხულის ვარჯიშს ამაოდ არ ჩაუვლია მისთვის და ახლა წაქაძე ჩვენი ნაკრების პირველი ნომერია მსოფლიო ჩემპიონატზე.

დიდი სამეულის მეორე სპორტსმენი — ნ. კამენსკი ზაფხულში ხტომების დიდი თაყვანისმცემელი არ არის და წვრთნის სხვა გზით წარმართავდა — საერთო ფიზმომზადება, ტანვარჯიში, აკრობატიკა, სპორტთამაშები. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა თვითანალიზს, და ამიტომაც თუმცა მისი ნახტომები ისეთი ლამაზი არაა, როგორც კობასი, სამაგიეროდ, ყოველთვის გამოირჩევა სიზუსტით.

სამეულის „მესამე მუშკეტერი" — შამოვი ვარჯიშობდა ჩვეულებრივად, დიდი დატვირთვით, სხვაგვარად მას არც შეუძლია გააკვირვოს სპეციალისტები თავისი ხტომებით, რომლებმაც მას გასულ სეზონში საკმაო წარმატებანი მოუპოვეს.

გასული ზამთრის დასასრულს ნორვეგიაში „ღედოფლის თასის" მოპოვებამ ნ. გუსაკოვს, ფინეთში დ. კოჩკინის გამარჯვებებმა ამ ორ სპორტსმენს საშუალება მისცა იფიქრონ იმაზე, რომ ისინი ახლოს არიან ორჭიდში მსოფლიო მასშტაბის გამარჯვებასთან და ისინიც ახალი სეზონისათვის „შემოწმებული" რეცეპტით ემზადებოდნენ. დ. კოჩკინმა ზაფხულში 40-მდე ხტომა შეასრულა და მერე მთელ დროს რბენებს უთმობდა, ხშირად დარბოდა 8 კმ კროსის დისტანციებზე.

ნ. გუსაკოვმა მთელი ზაფხული სოფელში გაატარა სკვოველის ოლიმპიადის წინ თავის მეუღლე მ. გუსაკოვასთან ერთად. ისინი ბევრს ვარჯიშობდნენ ფიზიკურად, დარბოდნენ ტყეში და შედეგიც საუკეთესო იყო. მარიამ ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა, ხოლო ნიკოლოზმა — მესამე ადგილი, ამიტომ ისინი ახალი სეზონისათვისაც ასე ხელიხელ ჩაკიდებული ვარჯიშობდნენ ზაფხულში და შემოდგომის დადგომისთანავე შეუდგნენ სპეციალურ ვარჯიშებს.

ჩვენი მორბენლები გასულ სეზონში შედარებით სუსტად გამოვიდნენ, ვიდრე ადრე. ამიტომაც მათი საქმიანობის დღის წესრიგის ძირითად პუნქტს დაკარგული პოზიციების დაბრუნება წარმოადგენს. ნაკრების ყველა წევრი სისტემატურად ვარჯიშობს. პ. კოლჩინს და მის მეუღლეს ა. კოლჩინას ხშირად ნახავდით გორგოლაჭებიანი თხილამურებით, ხოლო ნ. ანიკინი ამ ინვენტარს იშვიათად იყენებდა და ძირითადად სუნთქვის გამომუშავებაზე ზრუნავდა.

წვრთნის რა გზაა არჩეული მიმდინარე სეზონისათვის? — „ამჟამად ჩვენი უძლიერესი მორბენლები ვარჯიშობენ სამჯერ მეტს, ვიდრე გასულ წელს და მთავარ ყურადღებას უთმობენ რბენას, ძალოსნობას, შემდეგ კი ნიჩბოსნობას, კალათბურთსა და ფეხბურთს. დიდი დატვირთვის მიუხედავად ახლა ყველა უკეთ გრძნობს თავს და ვფიქრობ ნ. კოლჩინი, ნ. ანიკინი, ი. უტრობინი, გ. ვაგანოვი და სხვები წელს აღადგენენ დაკარგულ ტრადიციებს" — ასეთია მოთხილამურეთა საკავშირო ფედერაციის მთავარი მწვრთნელის ვ. ბარანოვის აზრი.

მწვრთნელის სიტყვები მალე დადასტურდა. ნაკრების ბევრმა წევრმა მაღალი შედეგი აჩვენა საშემოდგომო კროსში, რომლის ტრასა ზუსტად იქ გადიოდა, სადაც ზამთრობით სათხილამურო დისტანციაა. გაიმარჯვა უტრობინმა, რომელმაც 8 კმ 26 წუთსა და 22 წამში გაირბინა, ნ. ანიკინმა — 26.31,0-ში, ხოლო პ. კოლჩინმა — 26.38,0-ში, რაც მხოლოდ მაღალი კლასის მორბენალთა შედეგია.

რაც შეეხება ქალებს, ისინი ყოველთვის წარმატებით გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონატებში. ამჟამად ნაკრებშია ოთხი ისეთი საერთაშორისო კლასის მოთხილამურე, როგორებიცაა მ. გუსაკოვა, ლ. ბარანოვა, ა. კოლჩინა და რ. ეროშინა. საინტერესოა ისიც, რომ ამ ოთხივე ქალის მეუღლეებიც ცნობილი მოთხილამურეები არიან და უნდა ვივარაუდოთ, რომ სპორტული ოჯახები ამ სეზონშიც ისახელებენ თავს.

ბოლოს, რამდენიმე სიტყვით სათხილამურო სპორტის ისეთ შედარებით ახალგაზრდა სახეობაზე, როგორიცაა ბიატლონი. საბჭოთა სპორტსმენებმა პირველსავე წელს მოიპოვეს წამყვანი ადგილი უძლიერესთა შორის მსოფლიოში, თუმცა შემდეგ ოლიმპიადაზე დათმეს ოქროს მედალი, მაგრამ საერთოდ კარგად გამოვიდნენ. ახალი სეზონისათვის მზადების პერიოდში ძირითადი ყურადღება სროლაზე იქნა გადატანილი.

ჩვენი საუკეთესო ბიატლონისტები — ა. პრივალოვი, ვ. მელანინი, დ. სოკოლოვი და ვ. პშენიცინი ახლა უკეთესად ისვრიან, რბენაში კი ისინი ყოველთვის სჯობდნენ მოწინააღმდეგეებს.

ძნელია გარკვეული რაიმეს თქმა სამთო-მოთხილამურეებზე. მართალია, წელს ისინი ბევრს ვარჯიშობდნენ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა. წარმატება ამ სახეობაში მოდის მხოლოდ მთებში, თოვლზე ვარჯიშში. წელს მსოფლიო პირველობამდე ჩვენი სამთო-მოთხილამურენი ძალებს გამოცდიან მთელ რიგ საერთაშორისო შეჯიბრებებზე და სწორედ აქ გამოვლინდება მათი შესაძლებლობანი.

თუ ჰკითხავთ ამ სტრიქონების ავტორს, რა შანსები აქვთ საბჭოთა მოთხილამურეებს ახალ სეზონში, მე გიპასუხებთ: მჯერა მათი წარმატებისა.

**ი. ნემუხინი,**
**„ნოვოსტის" სპორტული მიმომხილველი.**

## „ლოკომოტივის" პირველობაზე

სამტრედიაში მოეწყო ფეხბურთელთა ტურნირი რკინიგზელ ფეხბურთელთა მონაწილეობით. ტურნირში თამაშობდნენ ბათუმის, ქუთაისის, ქობულეთის, ფოთისა და სამტრედიის გუნდები.

გამარჯვება მოიპოვეს სამტრედიელმა ფეხბურთელებმა. მეორე ადგილზეა ქუთაისის გუნდი.

ი. ბუხაიძე



მიმდინარე წლის ფრენბურთელთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში პირველი ადგილების მფლობელები გახდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის ქალთა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ვაჟთა გუნდები. სურათზე აღბეჭდილია ის პრიზები, რომლებიც გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ.

ფოტო ე. ამირანაშვილისა.



# შეხვედრა ტორპედოელებთან

როგორც ვიცით, წლევანდელ სეზონში შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებმა. მათ გაიმარჯვეს „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა გუნდების II ზონის ტურნირში, მოიგეს შეჯიბრება „ა" კლასში გადასვლის პრეტენდენტებთან და უფლება მოიპოვეს ითამაშონ საბჭოთა კავშირის 1962 წლის პირველობაზე „ა" კლასის ოსტატ ფეხბურთელებს შორის. ეს ქუთაისელთა დიდი მიღწევაა.

15 ნოემბერს ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახ. საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყო თავის საყვარელ გუნდს. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა „განთიადის" ქარხნის საბჭოს თავმჯდომარემ, ქარხნის დირექტორმა შ. კიკნაძემ. სიტყვით გამოვიდა „ტორპედოს" მწვრთნელი ს. ერქომაიშვილი.

ფეხბურთელებს სიტყვებით მიმართეს ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა დ. მონიავამ, მუშებმა ა. კოსტავამ და რ. კურელაშვილმა, საკუთარი ლექსი წაიკითხა ტ. ბერულავამ. შეხვედრის დასასრულს ქარხნის დირექტორმა შ. კიკნაძემ ყველა ფეხბურთელს გადასცა სიგელები და საჩუქრები.

ფეხბურთელმა გ. გომელაურმა გუნდის სახელით მადლობა გადაუხადა დამსწრეთ.





საავტომობილო ქარხანას დაწესებული ჰქონდა სპეციალური პრიზი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელისათვის. ეს პრიზი წილად ხვდა სპორტის ოსტატს გ. ლეჟავას, რომელმაც მოწინააღმდეგეთა კარებში 16 ბურთი გაიტანა.

**სურათებზე:** ზევით მარცხნივ—ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი დ. მონიავა თასს გადასცემს გ. ლეჟავას. ქარხნის დირექტორი შ. კიკნაძე სიგელს გადასცემს გუნდის წევრს ზ. მაჭარაშვილს. ქვევით — სიგელს იღებს გუნდის კაპიტანი გ. ცხოვრებოვი.

ტექსტი და ფოტო ლ. ფაჩუაშვილისა.

# ჩემპიონატის პირველი ეტაპი

მოსკოვში მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში. როგორც ცნობილია, ეს შეჯიბრება მიმდინარეობს ორ ეტაპად. მოსკოვში გაირკვევა პირადი პირველობების ბედი ცალკეულ იარაღებზე, აგრეთვე გუნდური პირველობა, ხოლო ერთი თვის შემდეგ თბილისში ჩემპიონატის მეორე ეტაპზე საუკეთესო მაჩვენებლის მქონე 14 სპორტსმენი გაითამაშებს აბსოლუტურ პირველობას.

შეჯიბრება გახსნეს ვაჟებმა. პირველ დღეს იყო ბევრი უსიამოვნო სიურპრიზი. როგორც ... შენიშნავს ... სანიშნავია ... ტოლობოვის სრული მარცხი ... ბევრი ... ... 8,25 ქულა ორძელზე. სავალდებულო პროგრამის გავლის შემდეგ ვაჟთა შორის დაწინაურდა ი. ტიტოვი (უკრაინა) — 56,9 ქულა. მას 0,55 ქულის ინტერვალით ჩამორჩება მოსკოველი ვ. ლეონტიევი. მომდევნო ადგილებზე მიდიან: ი. ცაპენკო (ყაზახეთი), ბ. შახლინი (უკრაინა) და ა. შ. ქალთა შორის ლიდერობს ლ. ლატინინა — 38,1 ქულა. მას მეათედი ქულით ჩამორჩებიან თ. ლიუხინა და პ. სტახოვა.

გუნდური პირველობის ფავორიტებად მოსკოვის გაზეთები ჯერ კიდევ შეჯიბრების დაწყებამდე ასახელებდნენ უკრაინის, მოსკოვის, რსფსრ-ს და საქართველოს გუნდებს. ეს პროგნოზები თითქმის ზუსტად დადასტურდა მას შემდეგ, რაც შეჯამდა ოსტატი ვაჟების შედეგები სავალდებულო პროგრამაში. პირველ ადგილზე 494,21 ქულით მიდის მოსკოვი, მეორეზე — უკრაინა — 492,25, მესამეზე — რსფსრ — 483,93, მეოთხეზე — საქართველო — 476,75.

შედგა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში ფინალური ჯგუფის გუნდებს შორის.

ტყიბულის „მეშახტემ" თავის მინდორზე მიიღო ზუგდიდის „ოდიში". მატჩი დაიწყო ორმხრივი იერიშებით და უკვე მე-5 წუთზე სირაძემ (ტყიბული) გახსნა ანგარიში, მაგრამ სტუმრებმა ტაიმის დასასრულამდე შეძლეს საპასუხო ბურთის გატანა — 1:1. შესვენების შემდეგ ტყიბულელები კვლავ მძლავრად უტევდნენ მოწინააღმდეგეს, რაც მალე მეორე გოლით დამთავრდა — 2:1. ამ სიტუაციაში ზუგდიდელებმა კვლავ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და მატჩის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე მიაღწიეს ფრეს — 2:2.

ქუთაისის „იმერეთისა" და სამტრედიის „ლოკომოტივის" შეხვედრა, რომელიც ქუთაისელთა მინდორზე შედგა, დაიწყო მასპინძელთა უპირატესობით, მაგრამ პირველი ბურთი სწორედ მათ კარში იქნა გატანილი. ქუთაისელებმა მალე გაქვითეს ეს გოლი და ტაიმის დასასრულისათვის გავიდნენ კიდეც წინ — 2:1. მეორე ტაიმში „იმერეთმა" მთლიანად ხელთ აიღო ინიციატივა და მიაღწია გამარჯვებას დიდი ანგარიშით — 5:1. ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „გურია" და მახარაძის „სიხარული". მატჩი თავიდანვე მიმდინარეობდა საინტერესო, მწვავე ბრძოლაში. „სიხარულის" კართან შექმნილ ერთ-ერთ კრიტიკულ მომენტში მცველმა საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მატჩის შემდგომ მსვლელობაზე. ლანჩხუთელები დიდი აღმაფრენით თამაშობდნენ და ტაიმი დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ ანგარიშით 4:0. საგრძნობლად გამოასწორეს მახარაძელებმა თამაში მეორე ტაიმში, მაგრამ უკვე გვიანი იყო. მათ შეძლეს მხოლოდ 2 ბურთის გატანა.

ამ გამარჯვებით ლანჩხუთის „გურიამ" მოიპოვა უაღრესად საჭირო 2 ქულა და მიუხედავად დარჩენილი მატჩებისა, უკვე გაირკვა საქართველოს 1961 წლის ჩემპიონის წოდება. უახლოეს დღეებში ჩატარდება გათამაშების კალენდარით გათვალისწინებული მატჩები და გაირკვევა შემდგომი ადგილების ბედი.

# ლანჩხუთის „გურია" — 1961 წლის ჩემპიონი

**ფინალური შეხვედრების გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 16 ნოემბრისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" ლანჩხუთი | 9 | 6 | 3 | 0 | 25:13 | 15 |
| „ლოკომოტივი" სამტრედია | 9 | 3 | 4 | 2 | 19:22 | 10 |
| „ოდიში" ზუგდიდი | 8 | 2 | 3 | 3 | 16:17 | 7 |
| „იმერეთი" ქუთაისი | 7 | 2 | 2 | 3 | 12:11 | 6 |
| „მეშახტე" ტყიბული | 9 | 1 | 4 | 4 | 8:12 | 6 |
| „სიხარული" მახარაძე | 8 | 2 | 2 | 4 | 10:15 | 6 |

1962 წლის 19 მაისს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა საკავშირო ორგანიზაციას უსრულდება 40 წელი. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ და საკ. ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტეს ჩაატარონ პიონერთა სრულიად საკავშირო თამაშები. თამაშების პროგრამაშია სპორტული შეჯიბრებები საქალაქო და სასოფლო სკოლების პიონერულ რაზმეულებს შორის. ქალაქის სკოლების პიონერები ერთმანეთს შეეჯიბრებიან მძლეოსნობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში, ფრენბურთსა და კალათბურთში, ხოლო სოფლის სკოლების რაზმეულები — ფრენბურთში, კალათბურთსა და მძლეოსნობაში.

თვითეულ პიონერთა რაზმეულში ჩატარებულ მასობრივ შეჯიბრებათა შემდეგ პიონერთა რაზმეულების საუკეთესო გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ ასპარეზობაში. ფინალი შედგება მოსკოვში, 1962 წლის 19 ივლისიდან 30 ივლისამდე. ამ დღეებში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი დაეთმობა ნორჩ სპორტსმენებს. მოსკოვში 2600-ზე მეტი ნორჩი სპორტსმენი ჩავა, თვითეულ დელეგაციაში იქნება 150 პიონერი.

# საკავშირო, პიონერული

ასეთ დიდ ასპარეზობაში პირველად იმსახურებენ დელეგაციის წევრი-მოსწავლეები. ეს გარემოება ადგილებზე ყველას ავალებს, რომ მოსწავლეთა შორის მომზადდეს კვალიფიციური მსაჯები. განზრახულია ასეთი წესი დამკვიდრდეს მოსწავლეთა ტრადიციულ სპარტაკიადებზეც.

თუ პიონერთა რაზმეულების მასობრივ შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ასაკის პიონერები, მაშინ ფინალში დაიშვებიან მხოლოდ 1947-48 წლებში დაბადებულნი, ხოლო ცურვაში გამართულ შეჯიბრებებზე დაიშვებიან 1949-1950 წლებში დაბადებულნი.

მძლეოსნობის პროგრამაში შედის პიონერთათვის კარგად ცნობილი მძლეოსნური ოთხჭიდი (რბენა 60 მ, სიმაღლეზე და სიგრძეზე ხტომა, ბურთის გდება სიშორეზე) და ესტაფეტა 5×60 მ, ცურვაში ქალაქის სკოლების პიონერთათვის: ორჭიდი 50 მ და ესტაფეტა 4×50 მ. ტანვარჯიშში შეჯიბრება გოგონებისათვის ეწყობა მოზარდთა I და II და მოზრდილთა I და II თანრიგების საკლასიფიკაციო პროგრამით, ვაჟებისათვის კი — მოზარდთა I და II და მოზრდილთა II თანრიგების საკლასიფიკაციო პროგრამით.

პიონერთა თამაშების ფინალთან ერთდროულად ვილნიუსში და ალმა-ატაში ჩატარდება მოსწავლეთა ზონალური სპარტაკიადები. სპორტკავშირების ცენტრალურმა საბჭომ გადაწყვიტა, რომ ეს სპარტაკიადები ჩაატაროს 1944-46 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მონაწილეობით. პროგრამაშია კალათბურთი, ველოსპორტი (1944-45 წლებში დაბადებულთათვის), წყალბურთი, ფრენბურთი, ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ცურვა (1944-45 წლებში დაბადებულთათვის), წყალში ხტომა, სროლა, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ფეხბურთი (1945-46 წლებში დაბადებულთათვის) და ჭადრაკი.

პირველ ზონაში (ვილნიუსი) მონაწილეობას მიიღებენ ბელორუსიის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ლიტვის, ლატვიის, მოლდავეთის, სომხეთისა და ესტონეთის განათლების სამინისტროების ნაკრები კოლექტივები, მეორე ზონაში (ალმა-ატა) — უზბეკეთის, ყაზახეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის ნაკრები კოლექტივები.

მომავალი ზონალური სპარტაკიადები კარგი წინასწარი მზადება იქნება სსრკ ხალხთა III სპარტაკიადისათვის, სადაც პირველად მიიღებენ მონაწილეობას მოკავშირე რესპუბლიკათა განათლების სამინისტროების სკოლების მოსწავლეთა გუნდები.



## „გაუფრთხილდით თქვენს ჭაბუკებს“

ასეთი მოწოდებით მიმართა ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის რედაქტორმა თავის მკითხველებს. იგი დაჟინებით მოითხოვს აკრძალულ იქნეს ამერიკული ფეხბურთი, რომელსაც ყოველწლიურად ადამიანთა მსხვერპლი მოაქვს, ასახიჩრებს სპორტსმენებს.

ეს მოწოდება ყურადღეს აშშ-ს ბევრი უნივერსიტეტის მესვეურებმა, რომელთა დაწესებულებების ახალგაზრდების საკმაო ნაწილი იმსხვერპლა ამერიკულმა ფეხბურთმა. იელსკისა და პრინსტონის უნივერსიტეტების სამეურვეო საბჭოების დაჟინებითი მოთხოვნით ამ უმაღლეს სასწავლებლებში აკრძალულ იქნა ამერიკული ფეხბურთი, რომლის მაგივრად შექმნილია ევროპული ფეხბურთის მოთამაშეთა გუნდები. მსგავსი ღონისძიების გატარება განიზრახა აგრეთვე ლოს-ანჯელოსის უნივერსიტეტმა.

# ამაგდარი აშუღი

ტაშის გრიალში მსაჯის მიერ მარჯვენა აღმართული ვეება ვაჟკაცის მზერა კუთხეში მეზურნეებს შუა ჩამჯდარ მედოლე გარუნასკენაა მიპყრობილი.

საქართველოს მორიგი, აბსოლუტური ფალავანი 75 წლის მოხუცი მედოლის თვალებში ეძებს სპორტული ოსტატობის შეფასებას, მოხუცისა, რომლის აღგზნებული დაკვრაც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში უკიდებდა ცეცხლს ქართული ჭიდაობის კორიფეების — კულა გლდანელის, თედო ლილოელის, იოსებ ცერაძის, მიხა ქურხულის, სანდრო კანდელაკის, შაშო ვერელისა და სხვათა ისედაც ტემპერამენტიან ბრძოლებს.

გარუნ თბილელი მარტო დამკვრელი და ჭიდაობის შემფასებელი როდია. იგი ქართული ჭიდაობის თავისებური ისტორიკოსიცაა. თბილისში, ბაქოში, ერევანში, განჯაში, კავკასსა და როსტოვში ჩატარებულ საპასუხისმგებლო და პრინციპულ ჭიდაობათა დამსწრეს, დღემდე შემოუნახავს მაშინდელ ფალავანთა ფოტოსურათები, შეჯიბრების აფიშები და სხვ. მის სახლში ნახავთ ჯერ კიდევ პირტიტველა სანდრო კანდელაკის ფოტოსურათს, კულა გლდანელის, გიორგი ჯიბგირის, ქოჩორა მუხრანელისა და სხვათა პორტრეტებს. იმ დროინდელი გაზეთების ამონაჭრებსა და მნიშვნელოვან ექსპონატებს, რომლებიც ნათლად აღადგენენ სპორტული დიდებით მოსილ ფალავანთა სახეებს.

საიათნოვას ლიტერატურული ჟანრის—აშუღური პოეზიის გამგრძელებელთა „უკანასკნელი მოჰიკანი“ — გარუნ თბილელი ხალხის წიაღიდანაა გამოსული და მისი უანგარო მსახურია. აღმოსავლური ანსამბლების უშუალო მონაწილე თავისი საკრავით და საკუთარი ლექსებით საზოგადოების ყველა მნიშვნელოვან მოვლენას ეხმაურება. საკმარისია აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის დროს მისი თაოსნობით თბილისის გარნიზონსა და სამხედრო ჰოსპიტლებში 3000-ზე მეტი უფასო კონცერტი ჩატარდა.

1956 წლის მარტში ხელოვნების მუშაკთა სახლში გამართულ გარუნ თბილელის 50 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავ საღამოზე პოეტმა აკადემიკოსმა ი. გრიშაშვილმა განაცხადა: „ძველი აშუღი ფარდა აშ პირობებშით დაიხურა [illegible]“.

გარუნ თბილელი ახალგაზრდული ენერგიით ემსახურება თავის საქმეს: მისი დოლი ძველებურად მოუხმობს ქართველ ფალავნებს სარბიელისაკენ, მისი კუთხე დღითიდღე მდიდრდება ახალ-ახალი ექსპონატებით და ფარდის დახურვამდე ამაგდარი აშუღი ჯერ კიდევ ბევრ სასარგებლო საქმეს გაუკეთებს ქართული ჭიდაობის გულშემატკივრებს.

**გ. სამსონაძე**

• • •



**სურათზე:** გარუნ თბილელი მორიგი ექსპონატით ამდიდრებს „აშუღის კუთხეს“.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## „ბებერი ქალბატონი“ ავადმყოფობს

იტალიის მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატის მთავარი მოულოდნელობაა ის, რომ მარცხს მარცხზე განიცდის ტურინის „იუვენტუსი“. შარშანდელი ჩემპიონი ვერ გასცდა სატურნირო ცხრილის შუაგულს. „იუვენტუსი“ იტალიურად „ახალგაზრდობას“ ნიშნავს, მაგრამ გულშემატკივრებმა მას სახელი შეუცვალეს და „ბებერი ქალბატონი“ შეარქვეს. ჩემპიონის მარცხი მით უფრო მოულოდნელია, რომ იგი ყველაზე უფრო „ძვირი“ გუნდია იტალიაში, ხოლო თავდასხმა მთლიანად „ვარსკვლავებისაგან“ შედგება: მორა-ნიკოლე - ჩარლზი-სივორი- სტახინი. გუნდს მძიმედ ეტყობა მისი მთავარი სტრატეგის ბონიპერტის არყოფნა, რომელმაც ასაკის გამო დაანება თავი თამაშს. ხშირად იცვლებიან მწვრთნელებიც.

პირველ ადგილს მტკიცედ ინარჩუნებს „ინტერნაციონალე“. ძლიერად თამაშობს მილანელთა დაცვა, სადაც გამოირჩევიან მეკარე ბუფონი და ცენტრალური მცველი გვარნიერი. საგრძნობლად გაძახალისდა თავდასხმა. „ინტერს“ ჰყავს ორი სწრაფი გარემარბი (ბიჩიკლი და კორსო) და ორი ცენტრალური თავდამსხმელი (ჰიტჩენსი და სუარესი). იტალიელ მიმომხილველთა აზრით ეს გუნდი პირველი ადგილის ყველაზე სერიოზული პრეტენდენტია.

მეორე ლიგიდან შარშან დაბრუნებული „ტორინოს“ წარმატებას (მე-2 ადგილი) იმით ხსნიან, რომ თავდასხმაში ბრწყინვალედ თამაშობს „შოტლანდიური წყვილი“ — ბეკერი (№ 9) და ლო (№ 10).

პირველ სამეულში შედის აგრეთვე ბერგამოს „ატალანტა“. ეს გუნდი წელს შესამჩნევად მომაგრდა. აქ თამაშობენ განთქმული შვედი ცენტრალური მცველი გუსტავსონი, არგენტინელი მასნეო (№ 8) და დანიის ნაკრების ცენტრფორვარდი ნილსენი.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მრავალგზისი აკრძალვის მიუხედავად აქაურ კლუბებში მომრავლდნენ უცხოელები. რომ არაფერი ვთქვათ სამხრეთ ამერიკელებზე, აქ ვხვდებით იუგოსლაველებს (კოსტიჩი, ვესელინოვიჩი, ბოჟკოვი, კალოპეროვიჩი, მიხაილიჩი), გერმანელ შიმანიაკს, ჰოლანდიელ კრუივერს (№ 9), შვეიცარელ ალემანს (№ 9) და სხვებს.

## მძლეოსანი ემზადება... ციხეში

ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა გუნდი ამ მოკლე ხანში ალბათ შეივსება კიდევ ერთი ახალი „ვარსკვლავით“. ლაპარაკია რობერტ პოიანდექსტერზე, რომელიც ოგაიოს შტატის ციხე „ფორტ მედისონში“ ქურდობის გამო რვაწლიანი პატიმრობის შემდეგ გამოვა გარეთ. ტუსაღმა მიზნად დაისახა აშშ-ს უძლიერეს მორბენლად გახდეს 1 მილზე რბენაში. გულმოდგინე და რეგულარული წვრთნის შემდეგ რ. პოიანდექსტერმა საკმაოდ მაღალ შედეგებს მიაღწია და ციხის ეზოში 1 მილი გაირბინა 4 წუთსა და 16 წამში.

ჟურნალისტები ამტკიცებენ, რომ რ. პოიანდექსტერი ხელმძღვანელობს წვრთნის უახლესი მეთოდებით. კერძოდ, მას სისტემატური მიწერ-მოწერა აქვს ოლიმპიური ჩემპიონის — ჰერბერტ ელიოტის მწვრთნელ პერსი ჰერუტისთან.




ამ დღეებში შედგა კიდევ რამდენიმე მატჩი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე ფეხბურთში.

ლონდონში ერთმანეთს განმეორებით შეხვდნენ ინგლისის ჩემპიონი „ტოტენჰემი“ და ჰოლანდიის ჩემპიონი „ფეიენოორდი“. ინგლისელებს, რომლებსაც მოგებული ჰქონდათ პირველი მატჩი, სავსებით უწყობდა ხელს ფრე და თამაშიც სწორედ ასე დამთავრდა — 1:1. ინგლისელები გავიდნენ მეოთხედფინალში.

• • •

იტალიის ჩემპიონმა „იუვენტუსმა“ ტურინში მიიღო იუგოსლავიის ჩემპიონი „პარტიზანი“ (ბელგრადი). მიუხედავად იმისა, რომ იტალიელებს აქტივში ჰქონდათ პირველი მოგებული მატჩი, მათ აბსოლუტური უპირატესობით ჩაატარეს მეორე შეხვედრაც და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 5:0. „იუვენტუსი“ ითამაშებს მეოთხედფინალში.

• • •

პირველი შეხვედრა შედგა „ფორვერტსს“ (გდრ) და „გლაზგო რეინჯერსს“ (შოტლანდია) შორის. მატჩი მოიგეს შოტლანდიელებმა ანგარიშით 2:1 და ახლა თავიანთ მინდორზე მიიღებენ მოწინააღმდეგეს.

• • •

**რომი.** გარდაიცვალა გამოჩენილი მსაჯი ვინჩენცო ორლანდინი, რომელიც 50 წლისა იყო. ორლანდინი ითვლებოდა ერთ-ერთ საუკეთესო მსაჯად მსოფლიოში.




## ჩილელთა წინადადება

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მომწყობმა კომიტეტმა, რომელსაც კ. დიტბორნი უდგას სათავეში, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას მიმართა წინადადებით ფინალში მონაწილე ქვეყნების ნაკრებთა განაწილების შესახებ.

აი რას სთავაზობენ ჩილელები ფიფა-ს: პირველი ქვეჯგუფის გუნდები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ ქალაქ არიკაში. აქ ითამაშებენ უნგრეთის, ურუგვაის, მექსიკისა და იუგოსლავიის (ან სამხრეთ კორეის, რაც ნაკლებად საფიქრებელია) გუნდები. მეორე ქვეჯგუფის მონაწილენი ერთმანეთს შეხვდებიან ქ. ვინია დელ მარში. აქ ითამაშებენ ბრაზილიელები, ესპანელები, იტალიელები და შვეიცარელები. მესამე ქვეჯგუფის გუნდების თამაშები განზრახულია მოეწყოს ქალაქ რანკაგუაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, არგენტინის, ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის (ან შოტლანდიის) გუნდების მონაწილეობით. თვით ჩილელებს განზრახული აქვთ ითამაშონ მეოთხე ქვეჯგუფში, რომლის მატჩები ქ. სანტ-იაგოში გაიმართება. მასპინძლებს გარდა აქ მოხვდებიან საბჭოთა კავშირის, კოლუმბიისა და საფრანგეთ-ბულგარეთის დამატებით მატჩში გამარჯვებული გუნდები.

ჩილელთა ეს წინადადება უახლოეს ხანებში უნდა განიხილოს ფიფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა.

## თოვლი დაკვეთით

ინგლისის საბაჟოს მოხელეები დიდად განცვიფრებულნი დარჩნენ, როცა შეიტყეს, რომ ნორვეგიიდან უნდა ჩამოვიდეს 40 ვაგონი... თოვლი. პირველად მათ ეს გაუგებრობა ეგონათ, მაგრამ სიტყვიერ განკარგულებას მოყვა წერილობითიც, სადაც მითითებული იყო, რომ აღნიშნული საქონელი საზღვარზე უნდა გაეტარებინათ ყოველგვარი ბაჟის გარეშე.

იმპორტული თოვლის მიმღები იყო ბრიტანეთის მოთხილამურეთა კლუბი, რომელიც თავის რიგებში 13.000 წევრს აერთიანებს. კლუბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ინგლისში მოეწყოთ შეჯიბრება ტრამპლინიდან ხტომაში, რაც აქ 10 წელია არ ჩატარებულა. სამისოდ „უიმბლდონის“ სტადიონზე ლონდონში აგებულ იქნა 40-მეტრიანი ტრამპლინი, რომელზეც იდეალური სისწორით იქნა დატკეპნილი ნორვეგიული თოვლი.

შეჯიბრება, რომელსაც მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო, შესანიშნავად ჩატარდა.

**რედაქტორი ი. უგულავა**

20 ნოემბერს, საქ. სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორიუმში (ლენინის ქ. № 35) შედგება საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის განყოფილებისა და საქართველოს სპორტკავშირების პროპაგანდის კომისიის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ: აკადემიკოსი კ. დ. ერისთავი — „სპორტული ტრავმატიზმი და თანამედროვე მედიცინის მიღწევები ქირურგიაში“; ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ი. მენაბდე — „სკკპ XXII ყრილობა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.

მეცადინეობის დასაწყისი 17 ს. 30 წ.


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01206